ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 127

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels"-ისთვის (ს/ნ: 406092650) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels"-ისთვის (ს/ნ: 406092650) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 17 აპრილის №19.445.549 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels"-ისთვის (ს/ნ: 406092650) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე